პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 234 (10931) | ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

შემოქმედებითი კავშირების პარტიულ ორგანიზაციათა საბრძოლო ამოცანები

წლევანდელი წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის წელი — მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის სამხატვრო ინტელიგენციის სულ უფრო მზარდი შემოქმედებითი აქტივობის ნიშნით. ორი სრულიად საკავშირო ყრილობა — მხატვართა და კომპოზიტორთა ყრილობები, რომლებიც მიმდინარე წლის დასაწყისში გაიმართა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის ამასწინანდელი პლენუმი, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა ახალი შემოქმედებითი კავშირის, რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირისა და მხატვართა კავშირის შექმნა, შემოქმედებითი დისკუსიები, რომლებიც სულ უფრო ფართოდ იმართება, და ლიტერატურისა და ხელოვნების ძირეული საკითხების განხილვა მოწმობს დიდ გამოცოცხლებას მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მსახიობების, მოქანდაკეების, დრამატურგების საქმიანობაში.

ამას წინათ გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტი „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის", რომელშიც შემოკლებით გადმოცემულია ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების შინაარსი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა მიიღეს როგორც ახალი გამოვლინება კომუნისტური პარტიის დიდი და ღრმა მზრუნველობისა მხატვრული შემოქმედების აყვავებისათვის, როგორც შთამაგონებელი მოწოდება, რომ შემოქმედებითმა მუშაკებმა კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნიზმის აშენებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. იმის შეგნება, რომ კომუნისტური პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა მუშაობას, მიაჩნია ისინი ერთგულ თანაშემწეებად ახალი საზოგადოების მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, პატრიოტული სიამაყის გრძნობის იწვევს თვითეული მხატვრის გულში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად დაკავშირებულია კომუნიზმისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებასთან. სოციალისტური სინამდვილე მათ წინაშე შლის უფართოეს სივრცეებს შემოქმედებისათვის, იდეების, თემების, სახეების დაუშრეტელ წყაროს, მოუწოდებს გაბედული შემოქმედებითი ძიებისაკენ. ცხოვრების მიერ შობილი თემები მწერალსა და მხატვარს, კინემატოგრაფიის მოღვაწეს და დრამატურგს მიელის მეექვსე ხუთწლედის სამშენებლო მოედნებზე, საკოლმეურნეო მინდვრებში, ცომბრისა და ურალის სივრცეებში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ რაიონებში, საბჭოთა მშრომელის ოჯახში, მეცნიერის ლაბორატორიაში, უამრის ახალმოსახლეთა დაბაში — ყველგან, სადაც ცხოვრობს და შრომობს ჩვენი თანამედროვე, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი, სადაც ხორციელდება ხალხის დიადი გარდამქმნელი საქმიანობა, რომელსაც კომუნისტური პარტია აღაფრთოვანებს.

ხალხი და პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს უყენებენ დიდ და პასუხსაგებ მოთხოვნებს, რომლებიც ნაკარნახევია კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებით. ეს ავალებს შემოქმედებითი კავშირების პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ისინი ეწეოდნენ, როგორც ყველაზე მთავარ და პირველხარისხოვან საქმეს, შემოქმედებითი კადრების იდეურ აღზრდას, აიარალებდნენ მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოდნით, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სწორი გაგებით.

მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენი თანამედროვეობის, საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი რევოლუციური გზის ჭეროიკის სიმართლით და მკაფიოდ ასახვისათვის საჭიროა პატრიოტი მხატვრის ნიჭი და შთაგონება. მაგრამ ნიჭსა და შთაგონებას შემოქმედებითი გამარჯვება მოსდევს მაშინ, როცა მხატვარს აქვს ცხოვრების დიდი ცოდნა, ფართო იდეური ჰორიზონტი, იმის უნარი, რომ ღრმად ჩასწვდეს საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ისტორიულ აზრს.

მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფიის მუშაკების კავშირებს შეუძლიათ წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას, თუ მუდამ ყურადღების ცენტრში ექნებათ ზრუნვა შემოქმედებითი კადრების იდეური აღზრდისათვის. ამ კავშირების პარტიულ ორგანიზაციათა პირდაპირი მოვალეობაა უნარიანად მოაწყონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცოცხლად, შემოქმედებითად, დაინტერესებით შესწავლა, ისეთი შესწავლა, რომელიც მხატვარს გაუფართოებს იდეურ ჰორიზონტს, გაამდიდრებს მის წარმოდგენას გარემო სინამდვილეზე, წარმოშობს გაბედულ შემოქმედებითს ჩანაფიქრებს.

თავის შემოქმედებაში ჩვენი დროის პროგრესული იდეების დამკვიდრებით, სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდით სამხატვრო ინტელიგენციას თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში. იგი გადაჭრით უარყოფს შემოქმედების აპოლიტიკურობის ფარისევლურ ქადაგებას, რომელსაც გულმოდგინედ უწევენ რეკლამას უცხოეთის პრესაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ შემოქმედებითი კავშირების ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მთავარი ყურადღება მიექცია შემოქმედებითი კადრების იდეური აღზრდისათვის. ეს მუშაობა ხუსტად წარმოებდა, მაგალითად, მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების პარტიულ ორგანიზაციაში. ამაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე მოსკოვის ლიტერატორთა ერთ-ერთ უკანასკნელ პარტიულ კრებაზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე პარტიული კომიტეტის ანგარიშის განხილვის დროს. მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებზეც ითქვა მწერალთა კავშირის მესამე პლენუმზე, მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა სწორედ იმით, რომ პარტიული კომიტეტი ჯეროვნად არ ზრუნავდა ისეთი ხერიოზული საქმისათვის, როგორიც მწერალთა კადრების იდეური აღზრდაა.

პარტიული კომიტეტი ზოგჯერ გვერდს უვლიდა პარტიული დისციპლინის დარღვევის შეუწყნარებელ ფაქტებს, როცა ცალკეულ კომუნისტ მწერლებს თავიანთი სუბიექტივისტური აზრი ჰქონდათ პარტიის წევრის დისციპლინასა და მოვალეობებზე, ეწეოდნენ დემაგოგიურ ლაყბობას, რომელიც მხოლოდ ჩირქს სცხებს კომუნისტის წოდებას. მხატვრული შემოქმედება ვითარდება ჩვენთვის უცხო ბურჟუაზიული ლიტერატურის გავლენათა, დრომჭმუდ წარმოდგენათა და შეხედულებათა წინააღმდეგ იდეური ბრძოლის პირობებში. ამიტომ თვითეულ კომუნისტს მხატვარს არაჯანსაღ განწყობილებებთან და ტენდენციებთან ბრძოლაში უნდა ეკავოს პრინციპული, პარტიული პოზიციები, უჩვენებდეს ხალხის ცხოვრებასთან, პარტიის საქმესთან შემოქმედების განუყრელი კავშირის მაგალითს, ყველგან და ყველაფერში იდგეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური სიწმინდის სადარაჯოზე.

შემოქმედებითი მუშაკები თავიანთი პარტიული ორგანიზაციების დახმარებით ააშკარავებენ არსებულ ნაკლოვანებებს, ენერგიულად აღმოფხვრიან მათ და ქმნიან უაღრესად ხელსაყრელ პირობებს, შემოქმედებისათვის. მაგალითად, უკრაინელი და ბელორუსი მწერლები მწვავედ და პრინციპულად აკრიტიკებდნენ პარტიულ კრებებზე არაჯანსაღ განწყობილებათა ცალკეულ გამოვლინებებს, თავიანთ ამხანაგების მცდარ გამოსვლებს. იდეური პოზიციების დაცვაში სწორედ ამ პარტიულმა პრინციპულობამ გამოიწვია გაზრდილი აქტივობა უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების საქმიანობაში.

მხატვრული შემოქმედების უშუალო ინტერესები მოითხოვენ საქმიანი და ამხანაგური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ და გაბედულად გაშლას თვითეულ შემოქმედებითს ორგანიზაციაში. მკაცრი კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელშიც ყველაფერია ნათქვამი და არაფერია მოუთვაებელი, ნამდვილი პრინციპული ამხანაგობისა და მეგობრობის ატმოსფერო — აი ყველაზე უკეთ რა დაეხმარება თვითეულ შემოქმედებითს ორგანიზაციას ნამდვილად გახდეს სამხატვრო ინტელიგენციის შემჭიდროებული, აქტიური და მებრძოლი კოლექტივი. შემოქმედებისათვის ყველაზე ნაკლებად გამოსადეგია თვითკმაყოფილების, უდარდელობისა და თვითდამშვიდების ვითარება.

პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებით, მწერლებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევით პარტიული ორგანიზაციები შეძლებენ მიაღწიონ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, კიდევ უფრო მეტ მიზანსწრაფვას მათს შრომაში ხალხის საკეთილდღეოდ. კრიტიკა საზოგადოებრივი შემოქმედების ქმედითი იარაღია, და საჭიროა ამ იარაღით სარგებლობა უნარიანად და გულისხმიერად, მხატვრისათვის დახმარების გაწევა წინსვლაში, თავისი ძალებისა და შესაძლებლობების რწმენის შენარჩუნებაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, მთელი შემოქმედებითი საქმიანობის საკითხები არ შეიძლება განხილულ იქნას იმ საარსებო ამოცანებისაგან მოწყვეტით, რომლებსაც ახლა წყვეტენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლაში. ამის გათვალისწინებით უნდა აშენებდნენ მთელ თავიანთ მუშაობას შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებული არიან აქტიურად ეხმარებოდნენ მხატვრული შემოქმედების აყვავებას, მოწინავე პატრიოტი მხატვრების აღზრდას.

„პრავდის" 29-IX მოწინავე.

ქართულ ენაზე გამოვიდა თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავისათვის (1917-1957)".

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

ასპინძის რაიონმა მაგყლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა შეასრულა

ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 25 სექტემბრისათვის 102,3 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა. მონაწილეობენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 50 ცენტნერი მატყლი.

მატყლის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის შესახვედრად

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა



აჭარის ასს რესპუბლიკის დედაქალაქი ბათუმი. სანაპირო ქუჩა. ფოტო ვ. ბაბაიანისა.

ბრძოლისა და გამარჯვების დიადი გზა

დ. მამულაძე,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

○ ○ ○

აჭარამ მეტად რთული ისტორიული გზა განვლო. მე-17 საუკუნიდან დაწყებული თურქ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ურდოების მოძალებული თავდასხმებისა და უთანასწორო ბრძოლების შედეგად აჭარა თანდათან მიტაცებულ იქნა. თურქ კოლონიზატორთა სამასი წლის ბატონობამ მოშალა და დააქვეითა აჭარის ეკონომიკა და კულტურა, ხოლო მოსახლეობა ცხოვრების აუტანელ მძიმე პირობებში ჩაყენა და მას ფიზიკური გადაშენების საფრთხე შეუქმნა.

აჭარის მშრომელები ვერ ურიგდებოდნენ თავიანთ ტრაგიკულ ბედს და თავგანწირვით იბრძოდნენ თავისუფლებისათვის. მათ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს დედაენა, ქართული ზნეჩვეულებანი. მათში არ ჩამკვდარა ქართული ეროვნული გრძნობები, და ისინი ყოველთვის ესწრაფოდნენ თავიანთ დედა-სამშობლოსთან — საქართველოსთან შეერთებას. აღსრულდა მათი ეს მისწრაფებაც.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა შეუერთდა საქართველოს და რუსეთის მფარველობაში შევიდა. რუსეთის მფარველობაში აჭარის შესვლა დიდი პროგრესული მოვლენა იყო, რითაც იგი საბოლოოდ გადაურჩა ფიზიკურად განადგურებას, მაგრამ ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა მაინც მძიმე უღლად აწვა მოსახლეობას და არ იძლეოდა ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საშუალებას.

აჭარის მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ 1918-1920 წლებში აჭარაში თურქთა, ინგლისელთა და სხვა იმპერიალისტთა თარეშს და მენშევიკების სისხლიან ბატონობას. ეს წლები აჭარის მშრომელთა ისტორიაში შეევიდა როგორც შავბნელი წარსული.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე სხივმა აჭარაც გაანათა—1921 წლის 18 მარტს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან აჭარის მშრომელთა ცხოვრების ისტორიაში იწყება ახალი ერა. წარსულს ჩაბარდა მშრომელთა უუფლებობა, ჩამორჩენილობა, სიღატაკე და ტანჯვა-წვალების მძიმე უღელი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აჭარის მშრომელებმა მთელ ქართველ ხალხთან ერთად სამუდამოდ დაიმკვიდრეს ნამდვილი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ერთიან ოჯახში დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან კომუნიზმის მშენებლობისათვის.

აჭარა ჩამორჩენილი კუთხიდან გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, მძლავრად განვითარდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, გაიფურჩქნა და აყვავდა ქართული ეროვნული სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, გემთშემკეთებელი, ტყავის, ლუდის, კოფეინის, ტუნგოს ზეთსახდელი ქარხნები, სამკერვალო, ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკები, ჩაის მრავალი ფაბრიკა, ციტრუსკომბინატი, ხორცკომბინატი, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური და სხვა მრავალი საწარმო.

1921 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება უმაგალითოდ გაიზარდა. ჩვენი მრეწველობა წლიურად ერთ მილიარდ 200 მილიონ მანეთზე მეტ პროდუქციას უშვებს, ქვეყანას აწვდის ათეულ ათასობით ტონა ნავთობის პროდუქტებს, კვების მრეწველობის მანქანებს, კოფეინს, ტუნგოს ზეთს, კონსერვებს, მილიონობით კილოგრამ მაღალხარისხოვან ჩაის, თამბაქოს ნაწარმს და სხვა პროდუქციას. ახლა ჩვენი მრეწველობა დიდი ტექნიკური პროგრესის გზას ადგას.

დიდი მუშაობა სწარმოებს საბინაო მშენებლობისა და ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აჭარის სუბტროპიკული რაიონები ჩაის, ციტრუსებისა და სხვა ძვირფასი კულტურების ნამდვილ ბაღნარად გადაიქცა. მთლიანად შეიცვალა შავი ზღვის სანაპიროების ლანდშაფტი. 1921 წლამდე აჭარაში გაშენებული იყო ციტრუსები 397 ჰექტარზე, ჩაი 850 ჰექტარზე, ისიც უმთავრესად მემამულეებსა და კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენებულია ციტრუსები 8.290 ჰექტარზე, ჩაი 6.100 ჰექტარზე, ტუნგო 2.415 ჰექტარზე, ბამბუკი 520 ჰექტარზე. ასევე მნიშვნელოვნად განვითარდა მეხილეობა და ბოსტნეულის მოყვანა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის სასახელოდ შეხვედრისათვის აჭარის მშრომელებმა, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებთან, მაღალი ვალდებულებები იკისრეს ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს და სხვა კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდისათვის. ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად დიდი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ყოველივე ამის შედეგად, მიუხედავად ხანგრძლივი გვალვისა და ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მოსავალს ძირითადად მაინც კარგი პირი უჩანს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 30 სექტემბრისათვის მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 20.282.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, — წლიური გეგმის 96,6 პროცენტი. ჩაბარებული ფოთლიდან 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა. აღსანიშნავია ბათუმის რაიონის მეჩაიეთა წარმატებები წელს. რაიონმა ჯერ კიდევ 18 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და უკვე იძლევა ზეგეგმითს ნედლეულს. ამ წარმატებით ბათუმის მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება დაიმსახურეს.

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა, და ეჭვი არ არის, რომ წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდება და გეგმის ზევით სახელმწიფოს ჩაბარდება ასობით ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

ვფიქრობთ, რომ გასულ წელთან შედარებით ერთნახევარ-ორჯერ მეტი იქნება ციტრუსოვანთა მოსავალი და დამზადდება და სახელმწიფოს ჩაბარდება 150-200 მილიონი ცალი მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფი. წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს მოსავლის აღება.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობის განვითარების დარგში. საგრძნობლად გაუმჯობესდა კოლმეურნეობებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და მისი მოვლა-პატრონობა, რის შედეგად უკანასკნელ წლებში ერთიორად და ერთისამად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის სულ აჭარის კოლმეურნეობებში ერთ ძროხაზე საშუალოდ მოწველილი იყო 777,1 კილოგრამი რძე, ანუ გეგმის 79 პროცენტი. წლის ბოლომდე გეგმა გადაჭარბებით შესრულდება და ერთ ძროხაზე საშუალოდ მიღებული იქნება სულ ცოტა 1.000 კილოგრამი რძე.

ამჟამად აჭარის მშრომელები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ განახორციელონ ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული დიდმნიშვნელოვანი ლოზუნგი — უახლოეს წლებში დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში.

სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული ყველა ეს მიღწევა შედეგია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა, ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა.

ყოველწლიურად იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი. გასულ წელს კოლმეურნეობებში მარტო ფულადმა შემოსავალმა 172 მილიონ მანეთს გადააჭარბა. მიმდინარე წელს ფულადი შემოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება და აყვანილ იქნება 200 მილიონ მანეთამდე.

შეუნელებლად იზრდება საკოლმეურნეო საზოგადოებრივი ფონდები. კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდი შეადგენს 254 მილიონ მანეთს, განუყოფელი ფონდი კი—335 მილიონ მანეთს.

მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. ბევრი კოლმეურნეობა, განსაკუთრებით ქობულეთისა და ბათუმის რაიონებისა, მარტო ფულადი შემოსავლიდან გასცემს ერთ შრომადღეზე საშუალოდ 35-40 მანეთს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს კოლმეურნეთა კეთილდღეობის დონეს.

დიდი წარმატებებია მოპოვებული განათლებისა და კულტურის დარგში. თუ 1921 წლამდე აჭარა წერა-კითხვის თითქმის მთლიანად უცოდინარ კუთხეს წარმოადგენდა (მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტი ითვლებოდა წერა-კითხვის მცოდნედ), საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკვე დიდი ხანია მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა. ამჟამად აჭარაში 76 საშუალო, 104 რვაწლიანი, 208 დაწყებითი სკოლაა, გარდა ამისა, არის 2 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სავაჭრო-ეკონომიური ტექნიკუმი, მუსიკალური, პედაგოგიური, სამედიცინო და სხვა სპეციალური სასწავლებლები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფილიალი და სხვ., რომლებშიც სწავლობს 45 ათასამდე მოსწავლე და სტუდენტი, ხოლო პედაგოგიურ მუშაობას ეწევა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 3.430 პედაგოგი. ბევრი ახალგაზრდა სწავლობს მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

აჭარაში შეიქმნა საბჭოთა ახალი ინტელიგენცია, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ფილარმონიის თეატრი, ბევრი კინოთეატრი, 5 კულტურის სახლი, 358 კლუბი და ბიბლიოთეკა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თუ რამდენად წინწავიდა, აყვავდა და აღორძინდა საბჭოთა კულტურა, ეს ნათელყო ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ, რაც მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა საქართველოს დედაქალაქ თბილისში. დეკადაზე წარგზავნილმა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა და მოღვაწეებმა თბილისის მაღალი გემოვნების მაყურებელთა გულთბილი მიღება და დიდი მოწონება დაიმსახურეს. ასევე კარგი შეფასება მიიღო ჩვენმა ახალგაზრდობამ მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში, რომელშიც აჭარიდან 100-მდე მომღერალი და მოცეკვავე იღებდა მონაწილეობას.

სერიოზული მუშაობა ტარდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. როგორც ქალაქად, ისე სოფლად გაშლილია სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო ქსელი. მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება 1.981 ექიმი და ექიმის თანაშემწე. თუ წინათ შავი ზღვის სანაპიროები მალარიის გავრცელების ბუდეს წარმოადგენდა და მუსრს ავლებდა მოსახლეობას, რის გამო ბევრი სოფელი გადაშენებულა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთლიანად ლიკვიდირებულია მალარიით დაავადება. შავი ზღვის სანაპიროები მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კერად, შესანიშნავ კურორტად გადაიქცა, სადაც განლაგებულია ათობით კეთილმოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. აქ ყოველწლიურად ისვენებს და ჯანმრთელობას იკაჟებს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხიდან ჩამოსული ათეული ათასობით მშრომელი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი დიდი მონაპოვარია ხალხთა მეგობრობა, რაც ჩვენი საზოგადოების წინსვლის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მხარდამხარ შრომობენ ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები, ბერძნები და სხვა მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. ყველა ისინი ურთიერთ პატივისცემით, საამურად და ბედნიერად ცხოვრობენ. მათ ერთი ნისწრაფება აქვთ — რაც შეიძლება მეტი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და ამით ადიდონ და ასახელონ ჩვენი საყვარელი სამშობლო.

აჭარის მშრომელებს მუდამ ახსოვთ, რომ ისინი ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ. მათ იციან, რომ კაპიტალისტური თურქეთი ამერიკა-ინგლისის რეაქციული იმპერიალიზმის პლაცდარმად არის გადაქცეული. მაღალი საბჭოთა პატრიოტული გრძნობით აღფურვილი აჭარის მშრომელები პირნათლად ასრულებენ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობას და ფხიზლად იცავენ ჩვენი დიადი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესებს. ჩვენი ხალხი არავის არ დაანებებს დიდი ოქტომბრის მონაპოვარს და მტკიცედ დაიცავს მას.

ჩვენთვის საამაყოა იმის შეგნება, რომ აჭარის, კერძოდ, ბათუმის პარტიულ ორგანიზაციას რევოლუციური წრთობის დიდი ტრადიცია აქვს, რომ დიდი ოქტომბრის მომზადებაში მას ჯეროვანი წვლილი აქვს შეტანილი. 1901, 1902, 1903 წლებში აქ მოღვაწეობდა ამხანაგი სტალინი. მან საფუძველი ჩაუყარა პარტიულ ორგანიზაციას და დარაზმა ბათუმის პროლეტარიატი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ პერიოდში ბათუმის მუშათა რევოლუციურმა ბრძოლებმა, განსაკუთრებით 1902 წლის 9 მარტის გრანდიოზულმა დემონსტრაციამ და სისხლისმღვრელმა შეტაკებამ დიდი ლენინის ყურადღება მიიქცია და გაზეთმა „ისკრამ" მას მაღალი შეფასება მისცა, როგორც ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი ქვეყნის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია მუდამ იყო, არის და იქნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. იგი კიდევ უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს, გააძლიერებს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით გამოასწორებს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და ყოველთვის წარმატებით შეასრულებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს.

სწორედ ამის ღრმა შეგნებით იყო, რომ აჭარის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის მოქმედების შესახებ და ამით ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი ერთგულება და დარაზმულობა ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

აჭარის მშრომელები, მტკიცედ დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული დიადი პროგრამის განუხრელად განხორციელებისათვის. ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავების პირობებში ხვდებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს, ისინი მზად არიან ყველა დავალება წარმატებით შეასრულონ და ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

თავისუფალი, აღორძინებული საბჭოთა აჭარა — 40 წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი—რევოლუციური

ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე სახელოვანი გზა განვლო.

1901 წლის ნოემბრის ბოლოს რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის დავალებით, რევოლუციური პროპაგანდის გასაწევად ბათუმში ჩამოდის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა წრეები და ხელმძღვანელობდა მათ მუშაობას. ხშირად იმართებოდა წრის მეცადინეობა ჩემს ბინაში. კრებას ესწრებოდნენ მოწინავე მუშები პ. ქურიძე, მ. ფიერცხალაიშვილი, ძმები დარახველიძეები და სხვ.

1901 წლის 31 დეკემბერს ამხანაგმა სტალინმა მოიწვია ბათუმის ქარხნების მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია, კონფერენციამ გააფორმა რსდმპ ბათუმის ორგანიზაცია და გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი, რომელიც ასრულებდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის როლს.

აღნიშნულ კონფერენციას ვესწრებოდით ძველი, რევოლუციურად განწყობილი მუშები: ს. ლომჯარია, დ. ლომთათიძე, თ. გოგიბერიძე, ი. მგელაძე, მ. ხომერიკი და ამ სტრიქონების ავტორი. კონფერენციის დამსწრე ამხანაგებიდან ცოცხალია მ. ხომერიკი.

1902 წლის იანვრის ბოლოს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მუშათა პოლიტიკური გაფიცვა მანთაშევის ქარხანაში, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. რსდმპ ბათუმის კომიტეტის ორგანიზაციულმა და იდეურმა მუშაობამ ბათუმის მუშები გამოაღვიძა. გაზეთი „ისკრა“, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, მხურვალედ ეხმაურებოდა ბათუმის მუშათა პოლიტიკურ ბრძოლებს.

1902 წლის 27 თებერვალს დაიწყო გაფიცვა როტშილდის ქარხანაში. გაფიცვის მასობრიობით დამფრთხალმა პოლიციამ 7 მარტს ღამით დააპატიმრა 32 გაფიცული მუშა, მათ შორის მეც. ამის პასუხად 8 მარტს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო მუშათა მანიფესტაცია ბათუმის საოლქო სასკოლო საბჭოს წინ. პოლიციამ დააპატიმრა 400-მდე მანიფესტანტი.

9 მარტს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო ბათუმის ქარხნების მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია. ამ დღეს დავკარგე ცალი ფეხი და სამუდამოდ ინვალიდი გავხდი.

გაფიცვები, დემონსტრაციები, რევოლუციური ბრძოლების ქარიშხალი არ ჩამდგარა ბათუმში, სანამ ოქტომბრის მზემ ჩვენი საყვარელი აჭარაც არ გაანათა, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

საზღვარი არა აქვს ჩემს სიხარულს, როცა ვხედავ, რომ იმ ბრძოლამ, რომლის მონაწილეც მე ვიყავი, ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიგვიყვანა, ბედნიერი და საამური ცხოვრება მოგვანიჭა.

ბ. დოლიძე,

ბათუმის მუშების რევოლუციური გამოსვლებისა და დემონსტრაციების მონაწილე, პერსონალური პენსიონერი.

პირველი ხუთწლედის პირამშო

ბათუმელი მენავთობეები სამართლიანად ვამაყობთ, რომ ჩვენი საწარმო პირველი ხუთწლედის პირმშოა. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს, თუ 220 ჰექტარ მანამდე დაჭაობებულ ფართობზე როგორ იზრდებოდა ქარხნის კოლპუსები. ახლა ჩვენი საწარმო აჭარაში უდიდესი და მოწინავეა.

28 წლის მანძილზე აღიზარდნენ ასობით მოწინავე ადამიანები—ნავთობის გადამუშავების ოსტატები, მშენებლები და ექსპლოატაციის მუშაკები: ს. ჩანტლაძე, ს. ვერგუნი, ა. ძნელაძე, ლ. მკრტიჩიანი, ვ. ჯოლოკავა, პ. პონომარენკო, ა. კორობკინი, გ. გოგელია, შ. ბახტაძე, ნ. თავართქილაძე, გ. ნოვოჟენინი, ვ. ალექსეევი, მ. ბაროიანი და მრავალი სხვა, რომლებიც ქარხანაში ოქროს ფონდს შეადგენენ. მუშათა ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით შექმნილია სკოლებისა და კურსების ფართო ქსელი. მენავთობე რაციონალიზატორთა რიცხვი 200-ს აღწევს, მათ შორის ნახევარი მუშებია. 28 წლის მანძილზე შემოსულია 5.330 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დიდი ნაწილი წარმოებაში დაინერგა და ქარხანას 41 მილიონამდე მანეთის ეკონომია მისცა.

თავდადებული მაღალნაყოფიერი შრომისათვის ქარხნის 660 მუშა და მოსამსახურე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ქარხნის დაარსების დღიდან ბათუმელმა მენავთობეებმა საკავშირო შეჯიბრებაში 35-ჯერ მოიპოვეს პირველი და მეორე ადგილი, ხოლო 9-ჯერ დაიმსახურეს შეფასება „ქარგი“.

ქარხანასთან შექმნილია ლამაზი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი მუშათა საცხოვრებელი დაბა, რომელსაც ამშვენებს ცხრა 4-5-სართულიანი და მრავალი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, შესანიშნავი კულტურის სასახლე და სხვა ნაგებობანი. მოწყობილია ბავშვთა ბაღები და ბაგები, საავადმყოფო, სკოლა. მთავრდება 60-ბინიანი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სანგამტარის მშენებლობა.

ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მაღალი ვალდებულებები, რომლებიც წარმატებით სრულდება.

ო. კოტეცელიძე,

ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი.

განთიადი მთაში



აჭარის მთებში. დაბრუნება საზაფხულო საძოვრებიდან (ხულოს რაიონი).

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

მთლიანად იცვალა სახე ხულოს რაიონის საკოლმეურნეო სოფლმა. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად გაიზარდნენ და განმტკიცდნენ რაიონის კოლმეურნეობები. წლითიწლობით მატულობს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. გაიზარდა ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა — სიმინდის, თამბაქოს, ყურძნის, ხეხილის და სხვათა მოსავლიანობა. ვენახი მტკიცედ დამკვიდრდა საკოლმეურნეო სოფლში, მისი ფართობი ყოველწლიურად იზრდება, შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენს თამბაქო. რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია საზოგადოებრივი მეცხოველეობა. იზრდება პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. რაიონში წველადობა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ერთისამად გადიდდა. მეცხოველეობის მუშაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წველადობის წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ და წლის ბოლოსათვის თვითეული ძროხის საშუალო წველადობა აიყვანონ 900 კილოგრამამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამისა. რაიონის ათმა კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა წლიური გეგმა. დიდ წარმატებებს აღწევენ ცალკეული მოწინავე ადამიანები. მაგალითად, სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ფატი აბულაძემ ჯერ კიდევ პირველი სექტემბრისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე 3.100 კილოგრამი რძე მიიღო, ასევე წინ მიდის სოფელ ქედლების კოლმეურნეობის მწველავი, რაისაბჭოს დეპუტატი ეთერ ჩოგაძე.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რაიონის მრავალ მოწინავეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, ხოლო 215 კაცი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ოქტომბრის სხივი უხვად შემოიჭრა აჭარის მთიან რაიონში — ხულოში. აქ ჩქეფს სისხლსავსე კულტურული, შეძლებული ცხოვრება. ამჟამად ჩვენ გვაქვს 9 საშუალო, 22 რვაწლიანი, 46 დაწყებითი სკოლა და სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, რომლებშიც 5.670 მოსწავლეა. 400 მასწავლებელი ემსახურება მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, მათგან ორასზე მეტი ადგილობრივი მუშაკია, მეტი წილი უმაღლესი განათლების მქონე.

რაიონის მშრომელებს კულტურულ მომსახურებას უწევენ სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლი, კინოთეატრი, მოძრავი კინოპარატები, კინოდანადგარი. არ არის არც ერთი სოფელი, სადაც სკოლა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ იყოს. მაღალ დონეზეა დაყენებული მშრომელთა საექიმო მომსახურება.

...ნამდვილი განთიადი დამკვიდრდა აჭარის მთიან რაიონში.

ს. ბერიძე,

ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საოქტომბროდ

მდინარე ჩოლოქიდან შორეულ გოდერძის უღელტეხილამდე, რომელიც ადიგენის რაიონს ესაზღვრება, გადაჭიმულია აჭარის ულამაზესი ქალაქები და სოფლები. მთელ ამ ტერიტორიაზე გაჩაღებულია შემოქმედებითი შრომა. აჭარის ყველა მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენტი ახლა მხოლოდ ერთი ფიქრითა და მისწრაფებით ცხოვრობს—თავდადებული მაღალნაყოფიერი შრომით ღირსეული საჩუქარი მოუმზადოს დედა-სამშობლოს ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

ამისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან ბათუმელი,

გემთშემკეთებელი და გემთმშენებელი ქარხნის მე-2 საკორპუსე საამქროს კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი გ. თევზაძე.

ოდესელი, მოსკოველი, ბაქოელი მენავთობეები, ბათუმელი და კიროვაკანელი, ბათუმელი და თბილისელი მანქანათმშენებლები, ქობულეთის და პოლტავის ოლქის მაშვეკის რაიონების, ბათუმის და ხერსონის ოლქის ბელოზერკის რაიონების მშრომელები. სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება ორი მოძმე ავტონომიური რესპუბლიკის—აფხაზეთისა და აჭარის და მათი დედაქალაქების სოხუმისა და ბათუმის მშრომელთა მეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება.

ჩაისა და ღვინის მრეწველობის მანქანაები გეგმის გადამეტებით

ბათუმელი მანქანათმშენებლები წინასაოქტომბრო შრომითს ვახტზე დგანან. მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ქარხნის კოლექტივი სასახელოდ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. რვა თვის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ ათასობით მანეთის რამდენიმე რთული მანქანა. შრომის ნაყოფიერება ვალდებულებით ნაკისრი 0,8 პროცენტის ნაცვლად გადიდებულია 1 პროცენტით. მაღალნაყოფიერი თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირებმა ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა მიხეილ დუნდუამ და სავლეპოვერინოვმა, მრავალდაზგოსანმა ხარატებმა შალვა ვადაჭკორიამ და მიხეილ რუზიაკმა, მექვაბე ნიკოლოზ სიმკოვმა, მეყალიბემ მურად ქარცივაძემ და სხვ., რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებენ და უკვე მუშაობენ 1958-1960 წლების ანგარიშში.

ვახტზე არიან გემთმშენებლები

საოქტომბრო შრომითს ვახტზე ბათუმის საწარმოთა შორის ერთერთი პირველი დადგა ბათუმის გემთმშენებელი და გემთშემკეთებელი ქარხანა. მან დიდად გადაჭარბა დავალებას და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 1,5 მილიონ მანეთზე მეტი პროდუქცია, ძირითადად სამგზავრო თბომავლები და გლისერები. შეჯიბრებაში დაწინაურდა ზეინკალთა ის ბრიგადა, რომელსაც ივანე ჯოშიანი ხელმძღვანელობს. იგი უკვე 1960 წლის ანგარიშში მუშაობს. ნაკისრ ვალდებულებას სასახელოდ ასრულებს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თეოდორე კოლომეიცის მექვაბე-მეკორპუსეთა ბრიგადაც.

მოსახლეობის საჭიროებებისათვის

დიდძალ ზეგეგმითს სახალხო მოხმარების საქონელს აწვდის ქვეყანას ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა. მარტო რვა თვეში საწარმომ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 451 ათასი მანეთის მოთუთიებული ჭურჭელი, საოჯახო ნავთქურა და საწვავის კანისტრი. მომთუთიებლებმა რვა თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდეს 6 პროცენტით. სახალხო მოხმარების საგნების გამოშვებას დღითიდღე ადიდებენ ბათუმის ქალაქის სამრეწველო კომბინატის საავეჯო ფაბრიკა, სარემონტო-მექანიკური სახელოსნოები, ფართო მოხმარების საგნების, სამსხმელო და ლითონის ნაკეთობათა ქარხნები და აჭარის სარეწაო საბჭოს სამრეწველო არტელები.

გათუმური კონსერვები

სულ უფრო მეტ ზეგეგმით პროდუქციას იძლევიან ბათუმელი მეკონსერვეები და მეშაქარლამეები. ციტრუსკომბინატმა რვა თვის გეგმა 124 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათობით ათასი ქილა მაღალხარისხოვანი ქართული კონსერვი. ამ საწარმოს პროდუქციას კარგად იცნობენ ყამირი და ნასვენი მოწების მამაცი ამთვისებლები. ბათუმური კონსერვები მიდის უკიდურეს ჩრდილოეთშიც, ციმბირშიც, შორეულ აღმოსავლეთსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილებშიც.

ავეჯი მშრომელებს

ბათუმის ფანერის ქარხანა უკვე ზეგეგმით ფანერს, ავეჯს და სხვა ძვირფას პროდუქციას იძლევა. მარტო რვა თვეში საწარმომ 361 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ქარხანაში ფართოდ ინერგება მცირე მექანიზაცია, იდგმება ახალი დაზგები და მო-

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი მ. დუნდუა.

წყობილობა. ქარხნის ბევრი მუშა, მათ შორის დურგლები დ. ტერენტიევი, ს. მინკინი, გამკრიალებელი ა. კარაპეტიანი, მედაზგე მუშები ალექსანიანი, კეკერაძე, მაისურაძე და სხვები ამჟამად 1958 წლის ანგარიშში უშვებენ ავეჯს, ხოლო დურგლები დ. ჩინჩალაძე და ვ. ლიტოვკა 1959 წლის ანგარიშში მუშაობენ.

სასიხარულო ცნობა

სულ რამდენიმე დღის წინათ ბათუმის სატვირთო სადგურის კოლექტივმა მიიღო სასიხარულო ცნობა იმის შესახებ, რომ იგი მეორეჯერ გამოვიდა საკავშირო შეჯიბრობაში გამარჯვებული. ამიერკავკასიის სატვირთო სადგურების კოლექტივებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბათუმელმა მტვირთავებმა უკვე მესამეჯერ დაიკავეს პირველი ადგილი. წარმატებით მუშაობს სადგური მიმდინარე თვეშიც. მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ და წელს არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი ბათუმელი მევაგონეები, მელოკომოტივეები, სამგზავრო სადგურისა და სალიანდაგო დისტანციის კოლექტივები.

* * *

მთელი აჭარა, მისი ლამაზი ზღვისპირა დედაქალაქი ბათუმი, საკოლმეურნეო სოფლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები და სასწავლებლები გაცხოველებით ემზადებიან დიდი დღესასწაულის შესახვედრად.

ბათუმი ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 102-ბინიანი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ზღვისპირა პარკთან ენგელსის ქუჩის დასაწყისში. მთავრდება ძირითადი სამუშაოები აგრეთვე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ბარათაშვილისა და გორკის ქუჩების კუთხეში. ახალ საცხოვრებელ სახლებს აგებენ ბათუმელი მანქანათმშენებლები, გემმშენებლები, მეფანერები და სხვ.

დიდ ზეიმს ეგებება საბჭოთა აჭარა.

ლ. ვარდუკაძე
დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.



ბათუმის ნავსადგურში.

როცა აჭარა მზეს შეეგება

ფრიდონ ხალვაში

ეს ჩემი მთა და ეს ჩემი ღელე,
ეს ჩემი მიწა ბევრის მოწამე
რამდენჯერ ხმლებით გადააბნელეს,
რამდენჯერ იგი მტრებმა მოწამლეს.
მაგრამ დრომ გული თუ დაამძიმა,
როდი დანებდა თვალები ტირილს...
მოვიდა ბოლოს ოქტომბრის სხივი
და დედამიწამ გაიხსნა პირი.
წამოიშველა მოძმე და მხსნელი
კაცს სასიკვდილო ლახვარით
დაჭრილს,
წამოდგა იგი, აიშვა ხელი,
ძირს დამსხვრეული დაყარა ჯაჭვი.
იმ დღეს ათასი ქებათა ქება,
როცა კედლებში ჩალეწეს ქარი,
როცა სინათლეს გაუღეს კარი,
როცა აჭარა მზეს შეეგება!
მოვიდა კაცი ჩრდილოეთელი,
და გვითხრა — ბრძოლით
ყველაფერს შევცვლით...
შევიდა ქოხში, გახია ბნელი
და გააჩაღა კერაზე ცეცხლი.
იგი — მტრისათვის ელვა და მეხი —
მოვიდა როგორც ვარდობის დღენი,
მას მიეგება ღიმილით გლეხი
და უთხრა ასე:
— მადლობა, ლენინ.
ის ჩვენთან არის, და ასე ვივლით,
გავყვებით გზათა ბრწყინვალე
ხვეულს...
იმღერეთ, ძმებო, — აჭარა ტკბილი
შეერთებია მამულის სხეულს.
იმღერეთ... ახლა ვინ მეტყვის
„უძლურს“, —
შევძელი მთების დაძვრა და ზიდვა...
მე, ვით სიცოცხლეს მშობელის ძუძუ,
სიბრძნეს მაწოვებს ქართული
სიტყვა.
ჩემია მთაში მზე მომავალი
და მსხმოიარე ხეების ბინდი,
როგორც ჭოროხის ჩხრიალა წყალი,
ჩემია ვოლგის მედგარი ზვირთიც.
ღამე ჩადრივით წაიღო ქარმა
და ოქტომბრული სინათლით ვთბები,
ძველი დარდები დრომ გააქარვა,
მღერიან ძმები, მღერიან დები.
მოცურავს გემი, ტრიალებს დაზგა,
დგას ნარინჯების ულევი ხვავი,
დიდება მიწას, რომელიც აღსდგა,
დიდება მიწას, რომელიც ჰყვავის.

ვაზი ნავენახარზე

თურქ დამპყრობთა 300 წლის ბატონობის პერიოდში გაჩანაგდა და მოისპო ვაზის კულტურაც, რომელიც აქ დიდად განვითარებული ყოფილა. ამას მოწმობს დღემდე დარჩენილი დიდი მოცულობის ქვევრები. მაგალითად, ჩვენს კოლმეურნეობაში 1952 წელს ვენახის პლანტაციის დროს წააწყდნენ რამდენიმე ქვევრს. ერთი მათგანი 1,5 ტონის ტევადობისაა. ეს ქვევრი ჩვენ ამოვიღეთ. იგი მთელი და საღი აღმოჩნდა, მარაწში შევიტანეთ და მასში კოლმეურნეობის მოსავლის ღვინო გვაქვს. ქვევრები აღმოჩენილია ჩვენი და მეზობელი რაიონების სხვა კოლმეურნეობებშიც.

განუხრელად იზრდება რაიონში ვენახის ფართობი და მოსავლიანობა.

ჩვენი კოლმეურნეები დიდი ინტერესით მუშაობენ მევენახეობაში. მე პირადად 1948 წელს ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 101,1 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის სოციალისტური შრომის გმირობა მომენჭა. ამის შემდეგ ყოველწლიურად სულ უფრო მაღალ მოსავალს ვიღებ— 136 ცენტნერი ყურძნის მიღებისთვისაც მიმიღწევია. წელს კოლმეურნეობამ გალდებულება აიღო საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 120 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერისა.

ვაზის კულტურა მტკიცედ დამკვიდრდა აჭარის კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. ვაზმა კვლავ ჰპოვა თავისი სამშობლო.

ა. ბერიძე,

ქედის რაიონის სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

თამბაქო არომაგული

მთაგორიანი აჭარა განთქმულია შესანიშნავი არომატული თამბაქოთი. ისევე როგორც ვენახი, ეს კულტურაც უძველესია ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში.

თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანით განსაკუთრებით გამოჩენენ სახელი შორეული სოფლების გოგაძეების, ტბეთის, ჩანჩახალოს და სხვა კოლმეურნეობებმა. მაღალ მაჩვენებლებს აღწევს ჩვენი კოლმეურნეობაც. მან თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა 1 ოქტომბრისათვის შეასრულა და გეგმის ზეციით სახელმწიფოს ჩაბარებს ტონობით ხმელ თამბაქოს.

ბავშვობიდანვე თამბაქოში ვმუშაობ, წლიდან წლამდე ვხედავ მოსავლიანობას, თამბაქოს მზრუნველობას არ ვაკლებ. წელს სახელოვანი დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ვიკისრე 0,1 ჰექტარ ნაკვეთზე ჰექტარზე გადაანგარიშებით მიეღო სულ ცოტა 50 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად 17,5 ცენტნერისა. მოსავლის აღების წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით გავანადგენ სახელმწიფოს ჩავაბარე 250-მდე კილოგრამი ნედლეული ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 176 კილოგრამისა, კიდევ ჩავაბარებ 250 კილოგრამს და გეგმას ერთი-სამად შევასრულებ.

ამჟამად შუახეველი კოლმეურნეები ენერგიის დაუზოგავად იღებენ ყველა კულტურის მოსავალს, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეეგებონ ოქტომბრის დიად დღესასწაულს, რომელმაც თავისუფლება, შვება და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა არა მარტო აჭარელ მამაკაცს, არამედ კომუნისტური მშენებლობის ფერხულში აქტიურად ჩაბმულ თავისუფალ აჭარელ ქალსაც.

სულთან დავითაძე,

შუახევის რაიონის სოფელ შუახევის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, რაისაბჭოს დეპუტატი, აღმასკომის წევრი.

მეჩაიეობის მძლავრი რაიონი

საქართველოს მეჩაიეობის რაიონებს შორის ერთ-ერთი უძლიერესია აჭარის ასს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონი. სწორედ აქ მოიკიდა ფეხი პირველად სამამულო ჩაის კულტურამ.

რაიონში უკანასკნელი წლების მონაცემებით საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 4 ათას კილოგრამს შეადგენს, საუკეთესო მეურნეობებში კი—5 ათასს, ცალკეულ ბრიგადებსა და უბნებში იგი 7-8 ათას კილოგრამს აღწევს. არის რეზერვები მოსავლიანობის შემდგომი ამაღლებისათვის. აღნიშნული ციფრების მნიშვნელობა უფრო ნათელი იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე მხოლოდ 400-500 კილოგრამს შეადგენდა.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და მისი ფილიალების გეგმაშეწონილი მუშაობით დადგენილია მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა ჩაის მეურნეობის წარმოებისა ცალკეული ზონების ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის მუშაობის შედეგად დადგენილია ჩაის მაღალმოსავლიანი და საუკეთესო ხარისხის სელექციური ჯიშების გამოყვანის მეთოდები, რომლებსაც ახლა საბჭოთა კავშირის ის რესპუბლიკებიც იყენებენ, სადაც ჩაი ინერგება.

სელექციური ჩაის უპირატესობა მის მაღალ მოსავლიანობაშია, რაც საუკეთესო ჯიშებში 30 პროცენტ მატებას იძლევა. ჰიბრიდული მცენარეების ძლიერი ზრდა საშუალებას იძლევა მაღალი მოსავალი მივიღოთ ახალგაზრდა ბუჩქებიდანაც.

ჯიშების მსხვილფოთლიანობა ამსუბუქებს მკრეფავების შრომას და ამაღლებს მათს შრომის ნაყოფიერებას. ამასთან სელექციური ჯიშები გვაძლევენ უფრო გემრიელ და არომატულ ჩაის.

აკადემიკოსი ქ. ბახტაძე საცდელი პლანტაციის სათესლე ნაკვეთზე.

* * *

მიღებული შედეგების მიხედვით ჩანს, რომ ჩაის სამამულო ჯიშებს შეუძლიათ დიდად შეუწყონ ხელი ჩვენი ქვეყნის საკუთარი ჩაით უზრუნველყოფის საქმეს.

ქობულეთის რაიონის მეჩაიეები პირობას დებენ ღირსეულად შეასრულონ აღებული ვალდებულება სამშობლოს წინაშე და ჩაის უხვი მოსავლის მიღებით, ახალი წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად თარიღს.

აკადემიკოსი ქ. ბახტაძე,

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის სელექციის განყოფილების გამგე, სტალინური პრემიის ლაურეატი.

კომუნიზმის მშენებლობის აქტიური მონაწილე



ბათუმი. ლენინის ქუჩა.

საკოლმეურნეო დოვლათისათვის

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბათუმის რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. ჩვენი რაიონის მეჩაიეებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი მიმართვის განხილვისას პირობა დადეს, რომ გეგმით გათვალისწინებული 5.309 ტონის ნაცვლად მოკრეფდნენ და სახელმწიფოს ჩაბარებდნენ 5.609 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

რაიონის მეჩაიეებმა თავიდანვე კარგად გაითვალისწინეს მათ წინაშე მდგომი ამოცანების სირთულე და პატრიოტული შეგნებით შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარეს ყველა სამუშაო ჩაის პლანტაციებში, უზრუნველყვეს განუწყვეტელი კრეფა, რითაც შეძლეს ჩაის კრეფის წლიური გეგმის დაჭარბებით შესრულება. სეზონის დაწყებიდან 27 სექტემბრამდე რაიონში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 5.562 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ანუ 253 ათასი კილოგრამი წლიური გეგმის გადამეტებით. აღსანიშნავია, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობამ შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა და ახლა ნედლეულს ამზადებენ ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში. კარგად მოაწყეს მიღებული ნედლეულის გადამუშავება რაიონის ჩაის ფაბრიკებმაც.

ჩაის კულტურის შემდეგ ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს ციტრუსებს. განზრახული გვაქვს საოქტომბროდ მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის მშრომელებს გაუგზავნოთ ახალი მოსავლის პირველი პარტია.

რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ამაში დიდად გვეხმარება მომმე უკრაინის ბელოზერკის რაიონის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრება.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ბათუმის რაიონის მშრომელებმა დიდი სიხარული განიცადეს, მიიღეს რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ჩაის კრეფის გეგმის ვადამდე გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით, რამაც აღაფრთოვანა ისინი კიდევ უფრო მძლავრი შრომითი აღმავლობისათვის. მისალმების პასუხად რაიონის მშრომელებმა ახალი ვალდებულება აიღეს. მეჩაიეთა პირობაა წინა ვალდებულებას 100 ტონით გადააჭარბონ და წელს გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცენ 400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს იქნება ჩვენი საჩუქარი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის.

ს. ესაძე,
საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის მდივანი.

საბჭოთა ციტრუსების სამშობლო

აჭარა სამართლიანად ითვლება საბჭოთა ციტრუსების სამშობლოდ. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს ციტრუსოვანთა მთელი მოსავლის თითქმის სამი მეოთხედი აჭარაზე მოდის.

1927 წელს შეიქმნა ციხისძირის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა. მაშინ ის 33 ჰექტარს ითვლიდა. ამჟამად კი გადაიქცა მსხვილ საბჭოთა მეურნეობად, სადაც მარტო ციტრუსოვანთა ბაღებს 125 ჰექტარამდე უკავია. გარდა ამისა, მეურნეობის სიმდიდრეს წარმოადგენს ათობით ჰექტარი ჩაისა და ბამბუკის პლანტაციები, ხეხილის ბაღები და სხვა კულტურები.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე მეციტრუსეთა გამოცდილების დანერგვის შედეგად წლითიწლობით იზრდება ციტრუსოვანთა მოსავლიანობა.

უხვ მოსავალს ველოდებით მიმდინარე წელს. გასულ წელთან შედარებით დაახლოებით 2-ჯერ მეტს მოვკრეფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 17 მილიონამდე ცალ ნაყოფს, ანუ 0,5 მილიონს გეგმის გადამეტებით.

განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოჰყავს პირველ აგრორაიონს (მმართველი აგრონომი გ. კობახიძე). აქ ერთ ძირ ხეზე საშუალოდ მიიღებენ 700 ცალზე მეტ ნაყოფს. ბრიგადებს შორის დაწინაურდა ამ აგრორაიონის № 1 ბრიგადა (ბრიგადირი გამოცდილი მეციტრუსე ი. ხუხუნაიშვილი). იგი თვითეულ ხეზე იბრძვის 710 ცალი ნაყოფისათვის. ციტრუსოვანთა ნაყოფით უხვად არის დახუნძლული ძველი მებაღე მუშების ლუბა ჯინჭარაძის, მარიამ კოპალეიშვილის, ტატიანა ევსტუხინას, ახალგაზრდა მეციტრუსის ზინა გევორქიანის და სხვათა ნაკვეთები.

ახლა მეურნეობის კოლექტივი გაცხოველებით ემზადება მოსავლის აღებისათვის. წესრიგზე მოჰყავთ ავტოტრანსპორტი, საპლანტაციო გზები და ბოგირები, საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ნაგებობანი. დამთავრდა ძირითადი აგრორაიონების ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია. მეციტრუსეები ყოველმხრივ მზად არიან სიმწიფეში შესვლისთანავე მოკრიფონ და მშრომელთა სადღესასწაულო სუფრისათვის მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი სამშობლოს სხვა სამრეწველო ცენტრებში გაგზავნონ ათი ვაგონი მანდარინის ნაყოფი.

მეურნეობის კოლექტივი ამაყობს იმით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე იგი სამჯერ იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, მათ შორის შარშან ფართო ჩვენებით.

მივაწოდოთ მშრომელთა სადღესასწაულო სუფრას მეტი მაღალხარისხოვანი ციტრუსოვანთა ნაყოფი! — ასეთია ციხისძირელ და მთელი აჭარის მეციტრუსეთა მტკიცე გადაწყვეტილება.

ხ. გირკელიძე,
ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ციფრები და ფაქტები

აჭარის ასსრ მოსახლეობის რაოდენობა 1926 წელს შეადგენდა 132 ათას კაცს, 1956 წელს კი 233 ათას კაცს.

ავტონომიური რესპუბლიკის მსხვილმა მრეწველობამ 1956 წელს მოგვცა 61-ჯერ მეტი საერთო პროდუქცია, ვიდრე ოცდაათიან წლებში.

აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულმა ელადგურებმა 1932 წელს გამოიმუშავეს 9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1956 წელს კი 122 მილიონი.

ჩაის პლანტაციების ფართობი 1913 წელს 900 ჰექტარს შეადგენდა, 1956 წელს — 6.100 ჰექტარს.

ჩაის ფაბრიკებმა 1956 წელს სახელმწიფოს მისცეს 2.080 ტონით მეტი ბაიხაო ჩაი, ვიდრე 1940 წელს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი 1917 წელს 6.600 ჰექტარი იყო, ხოლო 1956 წელს — 18.400 ჰექტარი.

1913 წელს ციტრუსოვან ნარგავებს 300 ჰექტარი ეჭირა, 1956 წელს კი—8.290 ჰექტარი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეკვენახეობა არ იყო, ამჟამად კი აჭარაში ვაზის კულტურას 365 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს.

1923 წელს აჭარაში 38.800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო, ხოლო 1956 წელს — 92.600 სული.

1940 წელს აჭარაში დამზადებული იყო 10.512 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1956 წელს — 19.288 ტონა.

1940 წელს დამზადებული იყო 703 ტონა თამბაქო, 1956 წელს კი — 1.397 ტონა.

1914-1915 სასწავლო წელს აჭარაში იყო 62 სკოლა 5.500 მოსწავლით, 1956-1957 სასწავლო წელს კი—395 სკოლა, ტექნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელია 45.000 მოსწავლით. სახალხო განათლებაზე 1940 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 26,8 მილიონი მანეთი, 1956 წელს კი — 68,7 მილიონი მანეთი.

1940 წელს აჭარაში იყო 72 ბიბლიოთეკა და 69 საკლუბო დაწესებულება, 1956 წელს — 198 ბიბლიოთეკა და 145 საკლუბო დაწესებულება.

ახალი ცხოვრება

პარმენ ლორია.

...ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში საშუალო სკოლაა ინტერნატით. ამ სოფელში უზარმაზარი მეჩეთი იდგა, რომელშიც მოლაზოჯები სიბნელესა და უმეცრებას ქადაგებდნენ, მშრომელებს გონებას უბნელებდნენ. ახლა მეჩეთის ნაცვლად ღორჯომელებს მშვენიერი კლუბი აქვთ.

...ხულოელი გლეხი სოფელ ხიხაძირში წასვლას რომ განიზრახავდა, ერთი კვირით ადრე შეუდგებოდა მზადებას. ტყესა და ღრეში საცალფეხო ბილიკით უნდა ევლო რამდენიმე დღე. ხიხაძირელები ვერ იცნობდნენ ქვეყანას. ქვეყანა ვერ იცნობდა ხიხაძირელებს. რამდენიმე დღის წინ ამ სოფლის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ხოზრევანიძემ ბათუმში, მწერალთა კავშირის განყოფილებაში დარეკა და ითხოვა: ამ დღეებში ლიტერატურულ საღამოს ვაწყობთ, მანქანას გამოგიგზავნით და გვესტუმრეთო. უგზოობას არ უჩივიან დღეს ხიხაძირელები. სიბნელეში არ სხედან, ძონძებით არ დადიან, აღა-ბეგებსა და მოლა-ხოჯებს არ ემსახურებიან, თავიანთი ნაშრომის ბატონ-პატრონი არიან. ქვეყანას იცნობენ ისინი, ქვეყანა იცნობს მათ და პატივს სცემს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთადერთი ჰაიდარ ბეგ აბაშიძე აქვეყნებდა მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს აჭარელთა ცხოვრებასა და ჭირ-ვარამზე. მას აქებდნენ და უმადლოდნენ, მას ეძახდნენ მწერალსა და ხალხის გულის მესაიდუმლეს. ბრმა ბაჯელიძე დამღერდა ჩონგურზე მის მიერ შეთხზულ ლექსებს და იგი იყო იმდროინდელი პოეტი და მომღერალი. ხულოდან ქოჩახელა ჩამოვლიდა თავის ჭიბონით და იმით ანუგეშებდა სიღარიბისაგან განაწამებ ადამიანებს. მას უწოდებდნენ დამკვრელსა და მუსიკის მცოდნეს. ხელოვნების სხვა სახეობას არ ჰყავდა არც მოვარჯიში და არც მიმდევარი.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს დედაქალაქ თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე აჭარიდან ათი მწერალი წავიდა, ახამდე მომღერალი და მოცეკვავე, მხატვრები და მოქანდაკეებიც არ დაჰკლებია იმ საზეიმო დღეებს. ორასამდე სახელწოდების წიგნი იქნა გამოფენილი, ბევრიც სურათი და ხელოვანთა ნამოქმედარი. აჭარიდან ჩასულმა თეატრმა დედაქალაქის მაყურებლებს წარუდგინა თავისი რეპერტუარი და მოწონება დაიმსახურა.

ძველ დროს აჭარელი ქალის ხვედრი აუტანელი იყო. მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ აჭარელ ქალს ის უფლებებიც კი წაართვა, რომლებითაც მონათმფლობელობის დროსაც კი სარგებლობდნენ მონა ქალები — სინათლეზე გამოსვლა, მზის შუქის დანახვა. სიბნელე, უსწავლელობა, ჩადრი და მძიმე შრომა უხუთავდა სულსა და გულს ზვარელ ქალს.

დღეს? აჭარელი ქალი მამაკაცთან ერთად ეწევა მადლიან შრომას. კოლმეურნეობაში ბრიგადასა და რგოლს უძღვება, ჩაის კრეფის ოსტატია, ფაბრიკაში საამქროს ხელმძღვანელია, ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფოებრივ სამუშაოზეა.

აჭარა ამაყობს ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით, ბამბუკისა და ტუნგოს ხეებით, თამბაქოთი და ჩხავერით, რომელიც წინაპართა მიერ სამასი წლის წინ ჩაყრილ ქვევრებში მაჭრობას იწყებს, დუღს და ღვინდება.

ამაყობს აჭარა თავისი შვილებით — ვაჟკაცებით და ქალიშვილებით, სწავლულებით და მეცნიერებით, საკუთარი კადრებით, სპეციალისტებით.

საქართველოს ისტორია სისხლითა და ცრემლით დაწერილია, წარსული მწარე და ნაღვლიანია. მისი წაკითხვა და გახსენება გულს სევდით ავსებს, მაგრამ მოგონებებში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წუთით ვრჩებით და როცა დღევანდელ სინამდვილეს გავცქერით, აღტაცებული და ამაყოფილი შევძახებთ:

დიდება შენ, დიდო ლენინ, რომელმაც ოქტომბრის მზე ამოგვიბრწყინე და გაყინული გულები მისი სხივით გაგვითბე და გაგვახალისე!

დიდება შენ, მშობლიურო კომუნისტურო პარტიავ!

ვინ მოსთვლის მრავალშვილიან დედებს აჭარაში. ისინი ზრდიან მომავალ თაობას და ამასთანავე შრომაში ასახელებენ დედასამშობლოს. აი ერთი მათგანი — მრავალშვილიანი დედა — ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის წევრი მ. თამაზაშვილი თავისი ქალიშვილებით ასმათითა და დარიკოთი ჩაის პლანტაციებში.

კირნათი

მდინარე ჭოროხის თვალწარმტაცი ხეობაში, ბათუმიდან სულ რაღაც 30 კილომეტრის დაშორებით განლაგებულა ბათუმის რაიონის მოწინავე საზღვრისპირა სოფელი კირნათი.

რას წარმოადგენდა ძველად, მაგალითად, კირნათი, ისევე როგორც დღეს ასობით სოფელი საზღვრის მიღმა და რევოლუციამდე საზღვრის ამ მხარეზედაც? აღა ბეგების კლანჭებში გამომხრჩვალი სოფლის მოსახლეობის ხვედრი შიმშილი, უუფლებობა და სიბნელე იყო. რას წარმოადგენს თანამედროვე კირნათი? ეს არის მოწინავე საკოლმეურნეო სოფელი მშვენივრად მოწყობილი ცენტრით, შემლებული და კულტურული მოსახლეობით, რომელიც აქტიურად მონაწილეობს კომუნიზმის მშენებლობაში.

კირნათის ცენტრს ამშვენებს საშუალო სკოლის, კოლმეურნეობის კანტორისა და კლუბის, სასოფლო საბჭოს და სხვა ლამაზი ორსართულიანი შენობები, კეთილმოწყობილი საავადმყოფოს, სასოფლო მაღაზიის და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. სოფელი საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურის — მაჭახელაჰესის ბაზაზე ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

საკოლმეურნეო წყობილებამ წელში გამართა კირნათელი კოლმეურნე და ბარაქით აავსო მისი ოჯახი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩაის, თამბაქოს, დაფნის, ვაზის, ხეხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მძლავრი განვითარების შედეგად შარშან ამ საზღვრისპირა მთაგორიანი სოფლის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ერთ მილიონ ასოცი ათას მანეთს გადააჭარბა. შრომადღეზე გაიცა 12 მანეთამდე ფულად და თითო კილოგრამი სიმინდი. კიდევ უკეთესი წარმატებები აქვთ კირნათელებს წელს, როცა გაცხოველებით ემზადებიან ოქტომბრის დღესასწაულის შესახვედრად. გადაჭარბებით შესრულებულია თამბაქოს, ჩაის და სხვა კულტურების მოსავლიანობის წლიური გეგმები. წელს კოლმეურნეობა 11,5 ტონის ნაცვლად სამშობლოს ჩააბარებს 15 ტონა ხმელ თამბაქოს, 33.000 კილოგრამის ნაცვლად 45.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს და ასე შემდეგ. მარტო ჩაი წელს კოლმეურნეობას შემოუტანს ნახევარ მილიონამდე მანეთს.

კულტურული და შემლებული გახდა კირნათელი კოლმეურნეების ცხოვრება. საკოლმეურნეო კლუბში ყოველ მეორე დღეს უჩვენებენ კინოსურათს, ხშირად ეწყობა დრამწრის წარმოდგენები. მარტო ამ სოფელში საშუალო სკოლის გარდა ორი დაწყებითი სკოლა მუშაობს. კირნათელ კოლმეურნეებს მომსახურებას უწევს სასოფლო საავადმყოფო, ორი ექიმითა და ათამდე ექთანით, მდიდარი ბიბლიოთეკა, სასოფლო მაღაზია და სხვ.

სოფელში აღიზარდა ახალი საბჭოთა ინტელიგენცია. თუ რევოლუციამდე ამ სოფელში თითქმის არცკი მოინახებოდა წერაკითხვის მცოდნე, ახლა მუშაობენ და თანასოფლელებს ემსახურებიან ამ სოფლის მკვიდრნი სკოლის დირექტორი მერაბ ჯიხაძე, მასწავლებლები: სასოფლო საბჭოს დეპუტატი ქალი ნეზირე თავდგირიძე, მუხამედ შუშანიძე, შოთა შალიკაძე, ექიმის თანაშემწეები ნათელა ჯიხაძე, ვარდო ჭელიძე, ნათელა დიდმანიძე, თამარ ცინცაძე და ბევრი სხვ.

— მახსოვს ძველი დრო, — მწარედ იგონებს 80 წლის კოლმეურნე მემედ ცინცაძე, — როცა ბათუმში აქედან ერთი ოყა მარილისათვის ფეხშიშველი ჩავდიოდით, არც გზები იყო, არც ხიდები. უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ ახლა კირნათელები. აქედან ბათუმამდე ყოველ საათში დასრიალებენ ლამაზი ავტობუსები, კოლმეურნეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანები. ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაზე მხოლოდ ოცნება შეუძლიათ ჭოროხსგაღმა მდებარე სოფლების მშრომელებს...

... ჰყვავიან და იფურჩქნებიან აჭარის სოფლები.

ვლ. დემეტრაძე,
ჯ. დავითაძე.

სახელოვანი ადამიანები

ა. გურგენიძე.

ე. აბულაძე.

დ. ხოზრევანიძე.

ნ. წერეთელი.

ამ სურათებზე გამოსახულია აჭარის მოწინავე, წარჩინებული ადამიანები. ბევრი მათგანის სახელი გასცდა აჭარის ფარგლებს, ცნობილი გახდა ჩვენს ქვეყანაში, ასეთია, მაგალითად, ანგელინა (ანშე) გურგენიძე. იგი ჩაის მკრეფავი იყო. სახელოვანი შრომით გზა გაიკაფა, ისწავლა, უმაღლესი განათლება მიიღო, იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ახლა იგი აჭარის ასს რესპუბლიკის სოციუზრუნველყოფის მინისტრია, აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი;

დიმიტრი ხოზრევანიძე აჭარის ასს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელია — ხულოს რაიონის ხიხაძირის საშუალო სკოლის დირექტორი;

ეთერ აბულაძე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ხულოს სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი;

ნაიმე წერეთელი — აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ბათუმის რაიონის სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავი. ყველა ამ და ათასობით სხვა მოწინავე ადამიანთა შრომა და ცხოვრება ნათელი დადასტურებაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა მშრომელებზე. შრომით იკვლევენ ადამიანები ცხოვრების დიდ გზასა.

ხელოვნების აყვავება

1921 წლიდან აჭარაში კულტურული მშენებლობის ბრწყინვალე ხანა დაიწყო. ამ მშენებლობაში დიდი ადგილი დაეთმო ქართულ თეატრს, მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს.

1937 წლის გაზაფხულზე ბათუმს დაუბრუნდნენ რუსთაველის თეატრის სტუდიაში სპეციალური თეატრალური განათლების მისაღებად მიელინებული ახალგაზრდები.

შეიქმნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე სრულიად ახალი თეატრალური კოლექტივი, რომლის წინაშეც ისახებოდა შემოქმედებითი წინსვლისა და დავალებების ფართო პერსპექტივა.

ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითმა აღმავლობამ, ნიჭიერი ახალგაზრდა კადრების გამოვლინებამ და აღზრდამ შესაძლებელი გახადა თეატრის რეპერტუარის გამდიდრება.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის მიღწევები ფართოდ არის ცნობილი ჩვენი დედაქალაქის — თბილისის მაყურებლისათვის 1957 წლის იანვარში წარმატებით ჩატარებული აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადით.

ჭეშმარიტად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიძლებოდა მომდარიყო ის დიდი ძვრები, რაც მოხდა აჭარის ხალხურ თვითმოქმედებაში. გაიზარდა ხალხის წიაღიდან გამოსულ მთქმელთა რიცხვი, რომელნიც უმღერიან ჩვენს დიდ სამშობლოს, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი უადრესად სერიოზულ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა. ანსამბლის სახელი გასცდა აჭარის ფარგლებს, ჩვენი დიადი სამშობლოს ბევრ ქალაქს უჩვენა თავისი მაღალი ხელოვნება და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. საკმარისია აღინიშნოს მისი წარმატებით გამოსვლები ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში.

ბათუმის სახელმწიფო თეატრი ოქტომბრის დღესასწაულისათვის ამზადებს სპეციალურ დადგმას, მიძღვნილს ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულისადმი. ვეცდებით ამ სპექტაკლს მოვაპოვებინოთ დიდი ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე გასვლის უფლება.

ი. კოტბალაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

უცხოელების თვალით

შთაბეჭდილებათა წიგნიდან

ბათუმში ბევრი რამ არის შესანიშნავი და კარგი, მაგრამ ყველა ამაზე უფრო კარგია აქაური ადამიანები.

რუდოლფ ბემი,
დრეზდენი.

* * *

გულითადი მეგობრობის გამოხატვა ჩვენდამი, რაც საბჭოთა კავშირის და კერძოდ ბათუმის ყველა ადამიანმა გვიჩვენა, დარჩება ყველაზე საუკეთესო მოგონებად. თქვენ გვაძლევთ ნამდვილი ჰუმანურობის მაგალითს, რასაც არც ჩვენ გვინდა ჩამოვრჩეთ.

ანზელმ ფლესერი.
ბერლინი.

* * *

ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს როგორც საუკეთესო და ერთგული მეგობრები. ბერლინში რომ ჩავალ, ყველას ვუამბობ ბათუმში გატარებულ დაუვიწყარ დღეებზე. მე ვამაყობ, რომ თქვენი სახით გავიცანი ძვირფასი მეგობრები.

ვილი მაასი.
გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი.

* * *

ჩვენ მოგვეწონა ბათუმი, მისი სუბტროპიკული ჰავა, მისი მცენარეულობა და პლაჟი შავ ზღვასთან. ჩვენ გაგვაოცა მშრომელთა სოციალისტურმა მიღწევებმა, განსაკუთრებით ჯანმრთელობისა და კოლექტიური მეურნეობის დარგში. ჩვენ მოვალეობად ვთვლით მომავალშიც შეუნელებლად განვამტკიცოთ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით.

ალფრედ ნაუპერტი.

* * *

...ჩვენში იტყვიან „საქართველოსავით მდიდარიაო“. ეს სინამდვილეში ვნახე აქ, ბათუმში. მე მივდივარ სახლში — ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ ჩემს ძმურ გულს თქვენთან ვტოვებ.

იოზეფ მეგურა.

* * *

ჩვენ სიამაყით ვუამბობთ შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებზე, რომლებსაც ბათუმში შევხვდით და რომლებმაც ძმურად მიგვიღეს თავიანთ შესანიშნავ ქალაქში. ჩვენ უფრო ღრმად შევიგნეთ საბჭოთა კავშირთან ერთიანი გზა და ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისათვის. გაუმარჯოს ჩვენს ხალხებს! კვლავაც განმტკიცდეს ბათუმის და პრაღის პიონერთა მეგობრობა.

ბერეშოვე.
პრაღა.

* * *

თქვენი მუდმივი კონტაქტით უცხოელებთან, უბრალო და გულითადი საუბრებით, თქვენი კეთილი დიმილით, სტუმარმოყვარეობითა და ზრდილობით, რასაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით ბათუმში, — თქვენ ყველაზე უკეთესი კონსული აღმოჩნდით თქვენი ქვეყნისა.

ოლჩიკი,
პოლონეთი. ქ. ლოძი.

* * *

ძნელია ბათუმთან გამოთხოვება. ბევრი ძვირფასი ადამიანი დაგვიმეგობრდა აქ.

ელიზაბედ გუხერსტი.

* * *

საბჭოთა ადამიანები შესანიშნავი გულისანი არიან. ეს დაადასტურა დაუვიწყარმა შეხვედრებმა ოდესაში და ბათუმში.

ლან იოანი.
ექიმი, რუმინეთი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი არამარტო აჭარის, არამედ მთელი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მშვენებაა. იგი უდიდესთაგანია საბჭოთა კავშირის ბაღებს შორის. მწვანე კონცხზე, შავი ზღვის გასწვრივ გადაჭიმული ეს შესანიშნავი ბაღი 108 ჰექტარ ფართობს მოიცავს. აქ ნახავთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მცენარეთა მრავალ საინტერესო ნიმუშებს. მიმდინარე წლის ნოემბერში ბათუმის ბოტანიკურ ბაღს 45 წელი უსრულდება.

* * *

სურათზე: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღის ცენტრალური ლაბორატორიის შენობა.

ფოტო. ნ. ანასტასიევისა.

ჩინელი ხალხის დიდი დღესასწაული

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-8 წლისთავის გამო პეკინში ტიან-ანმინის მოედანზე გაიმართა სამხედრო პარადი და დემონსტრაცია.

მოწმენდილი მზიანი დღე გათენდა. 10 საათისათვის ცენტრალურ ტრიბუნაზე ავიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მარშლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური ა. ბ. არისტოვი, უნგრეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური ი. კადარი, ბულგარეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური ა. იუგოვი, ჩეხოსლოვაკიის საპარლამენტო დელეგაციის მეთაური ზ. ფირლინგერი, იუგოსლავიის საპარლამენტო დელეგაციის მეთაური ბ. სტამბოლიჩი, ბირმის კეთილი ნების დელეგაციის მეთაური უ მაინტ ტეინი, ინდონეზიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დოქტორი მ. ხატა.

სრულ 10 საათზე პეკინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ პინ ჯენმა გამოაცხადა, რომ ზეიმი დაიწყო. გაისმის ფანფარების საზეიმო ხმები, რომლებსაც ცვლის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

დაიგრიალა საარტილერიო სალუტმა. მოედანზე მარშის ხმებში გამოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი. მან მიიღო პეკინ-ტიანძინის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ იან ჩენ-უს პატაკი, ჩამოუარა ჯარებს, შემდეგ ავიდა ტრიბუნაზე და სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

გრიალებს არმიელთა ნაკრები ორკესტრის მარში. 10 საათსა და 30 წუთზე დაიწყო ჯარების პარადი.

პარადის შემდეგ გაიმართა მშრომელთა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის ნახევარმა მილიონმა მცხოვრებმა.

დემონსტრაცია დამთავრდა საღღესასწაულო სალუტით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-8 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმები მოეწყო მთელ ჩინეთში.

ჟურნალ „დრუჟბას“ პირველი ნომერი

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). რუსულ ენაზე გამოვიდა პირველი ნომერი ყოველკვირეულ ჟურნალ „დრუჟბასი“, რომელსაც ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება უშვებს. ჟურნალი შექმნილია გაზეთ „დრუჟბას“ და ჟურნალ „ნაროდნი კიტაის“ ბაზაზე, რომლებიც რუსულ ენაზე გამოდის.

ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლა დაემთხვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-8 წლისთავის დღესასწაულს. საღღესასწაულოდ გაფორმებული ჟურნალი მოგვითხრობს ჩინელი ხალხის შრომითს წარმატებებზე. ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილია ფერადი ფოტოსურათი „ურღვევი მეგობრობა“, რომელზეც აღბეჭდილია კ. ე. ვოროშილოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩინეთში ყოფნის დროს.

მოწონავე სტატია „გამარჯვების საფუძველი ჩაყრილია“ მრავალი ციფრითა და ფაქტით აშუქებს ჩინეთში სოციალისტური მშენებლობის განვლილი რვა წლის შედეგებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული ადმინისტრაციული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა“ გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული ადმინისტრაციული კომიტეტის განცხადება ლიტლ-როკის ამბების შესახებ.

კომიტეტი მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელოს, რათა დაიცვას ზანგები რასისტების ძალადობისაგან და უზრუნველყოს, რომ ზანგებს შეეძლოთ ისარგებლონ ყველა მოქალაქეობრივი უფლებით.

იუსტიციის სამინისტრომ, ნათქვამია განცხადებაში, სასამართლო პასუხისგებაში უნდა მისცეს რასისტული „თეთრკანიან მოქალაქეთა საბჭოების“ და კუ-კლუქს-კლანის მეთაურები.

ეროვნული კომიტეტი მოითხოვს დაგმონ თავგამოდებული რასისტები და მათ შორის არკანზასის შტატის გუბერნატორი ფობუსი, რომელმაც, როგორც ცნობილია, უბრძანა ლიტლ-როკის ჯარისკაცებს არ შეეშვათ ზანგთა შვილები მუნიციპალურ სკოლებში, დაგმონ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრები, რომელნიც ხელს უწყობენ რასისტულ ტერორს.

„სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის გაუქმებისათვის ბრძოლა ზანგი ხალხისა და ყველა ამერიკელისა, რომლებისთვისაც ძვირფასია დემოკრატია, ახალ ეტაპში შევიდა, — ნათქვამია განცხადებაში. — ზანგი ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა... ახალ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენი ხალხის პროგრესულ ძალებს, განსაკუთრებით პროფკავშირულ მოღვაწეებს და პირველ რიგში კომუნისტებს. მოწონავე პროგრესულმა ძალებმა ყველა სახალხო ორგანიზაციაში უნდა შეაკავშირონ თავიანთი ორგანიზაციები და დარაზმონ ისინი სოლიდარობის ახალი მოქმედებისათვის და იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ სეგრეგაციის ლიკვიდაციისა და დემოკრატიზაციისათვის მოძრაობას სამხრეთში“.

დეპეშა
აზომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენციის პირველი სესიის თავმჯდომარისადმი

ვენა

ნება მიბოძეთ საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მივულოცო გენერალური კონფერენციის მონაწილეებს ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მუშაობის დაწყება.

თანამედროვე მეცნიერების დიად აღმოჩენას — ატომის განთავისუფლებულ ენერგიას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობისათვის და მისი შემდგომი პროგრესისათვის.

ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნების ფართო თანამშრომლობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში და დახმარება გაუწიოს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ამ დარგში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალ საერთაშორისო ორგანიზაციას, დასაწყისიდანვე აქტიურად მონაწილეობს მის შექმნაში, ცდილობს უზრუნველყოს მისი ყველაზე დემოკრატიული ხასიათი, ამ ორგანიზაციის მუშაობის მონაწილე ყველა ქვეყნის ფართო მონაწილეობა და თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა კავშირი, რომელმაც პირველმა დაამტკიცა ატომის სააგენტოს წესდება, კვლავაც აქტიური და უანგარო მონაწილე იქნება ამ საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელმაც მთელი მსოფლიოს ხალხთა სამსახურში უნდა ჩააყენოს ატომი.

ჩვენი ქვეყანა კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობა დაგვირგვინდა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნით ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

ეს თანამშრომლობა განუზომლად მეტ სარგებლობას მოიტანდა, მიღწეული რომ ყოფილიყო საერთაშორისო შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, ხოლო მთელი ძალები და სახსრები, რომლებიც ნგრევის სამინელ საშუალებათა წარმოებას ხმარდება, აღმშენებლობისა და პროგრესის საქმეს მოხმარებოდა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირი მზად არის დადოს ასეთი შეთანხმება, მაგრამ საბჭოთა კავშირის წინადადებებს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, სამწუხაროდ, მხარს არ უჭერენ დასავლეთის სახელმწიფოები.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ატომგულის იარაღი ბოლოს და ბოლოს აიკრძალება და ატომის ენერგია გამოყენებულ იქნება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით და რომ ატომის საერთაშორისო სააგენტო თავისი მოღვაწეობით აგრეთვე შეუწყობს ხელს ამ მიზნის მიღწევას.

ნება მიბოძეთ წარმატებანი ვუსურვო თქვენს კონფერენციას და გამოვთქვა იმედი, რომ ნეიტრალური ავსტრიის ხელსაყრელი ატმოსფერო ხელს შეუწყობს კონფერენციის წარმატებით მუშაობას და საერთაშორისო თანამშრომლობას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მეცნიერების უდიდესი მიღწევების გამოყენების კეთილშობილურ საქმეში.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი.
1957 წ. 30 სექტემბერი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა დელეგაციის წინადადებით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა იმ ქვეკომიტეტის მოხსენებათა განსახილველად, რომელსაც სხდომები ჰქონდა ლონდონში ამა წლის გაზაფხულზე და ზაფხულში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი თავის გამოსვლაში ცდილობდა გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია, რომელმაც, როგორც ცნობილია, განიარაღების საკითხზე მოლაპარაკება ჩიხში მოაქცია. ქება-დიდებას ასხამდა რა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის უკანასკნელ წინადადებებს როგორც „პრაქტიკულ და რეალისტურ პროგრამას“, ლოჯმა კვლავ დაადასტურა ის ფაქტი, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განაგრძობენ წინანდელი პოზიციის დაცვას, რომელიც არავითარი გზით არ უწყობს ხელს განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას. ამერიკის წარმომადგენელმა გაილაშქრა ატომური და წყალბადის იარაღის სრული და უთუო აკრძალვის წინააღმდეგ და იმის წინააღმდეგ, რომ იკისრონ ვალდებულება ამ იარაღის ყველა სახეობის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ, და იშველიებდა დემაგოგიურ მსჯელობას იმაზე, რომ ატომგულის იარაღი „თავისუფალ სამყაროს“ ესაჭიროება „თავდაცვისთვის“.

ლოჯის გამოსვლამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უგულებელყოფენ მსოფლიო საზოგადოებრიობის გაძლიერებულ მოთხოვნას შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ლოჯმა გაიმეორა დალესის ნათქვამი და ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა დაუკავშირა მთელი რიგი სხვა საკითხების გადაჭრას. უფრო მეტიც, ლოჯმა პირდაპირ განაცხადა, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დასავლეთის სახელმწიფოებისათვის „დიდ საფრთხეს“ წარმოადგენს.

საფრანგეთის წარმომადგენლის პიკოს გამოსვლა მიეძღვნა უმთავრესად ცდას გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოთა უარი ატომური იარაღის აკრძალვასა და მისი გამოცდის შეწყვეტაზე.

კანადის წარმომადგენელი რიტჩი, რომელმაც აგრეთვე გაილაშქრა განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადებათა წინააღმდეგ, უსაბუთოდ სდებდა ბრალად სსრ კავშირს მისწრაფებას „პროპაგანდისტული მიზნებისადმი“, თუმცა სწორედ დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები და თვით კანადის წარმომადგენელიც აკეთებდნენ დემაგოგიურ განცხადებებს შემდგომი გამალებული შეიარაღების გასამართლებლად.

ავსტრალიის დელეგატმა კეზიმ სავსებით დაუჭირა მხარი დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა დელეგაციის აზრით კომისიის ამოცანა ის არის, რომ ყურადღებით განიხილოს ქვეკომიტეტის მოხსენებანი და რაც შეიძლება მალე წარუდგინოს თავისი მოხსენება გენერალური ასამბლეის XII სესიას, რათა შესაძლებლობა მისცეს ყველა ქვეყნის დელეგაციებს დაწვრილებით განიხილონ ასამბლეაში თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა— განიარაღების პრობლემა. ეჭვი არა გვაქვს, რომ ყველა ქვეყნის წარმომადგენელს ბევრი რამ აქვს სათქმელი ამ საკითხზე. ბევრი მათგანი, ცხადია, სასარგებლო წინადადებებს შეიტანს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის პოზიციას განიარაღების და ატომგულის იარაღის აკრძალვის საკითხში და ჩვენს შესაბამის წინადადებებს, მათ ვადგენთ მთელი მსოფლიოს ხალხთა სამსჯავროზე და იმას ვემყარებით, რომ ისინი შეიფერებიან არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებსაც.

ამით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის დილის სხდომა. მოხსენებათა განხილვა გადატანილია დღის სხდომაზე.

სპორტის ამბები

საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში

თურქეთში სტუმრად იმყოფება მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც ადგილობრივ გუნდებთან მართავს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს.

პირველი მატჩი სპარტაკელებმა გამართეს 1 ოქტომბერს სტამბოლში ადგილობრივი კლუბის „გალატასარაის“ გუნდთან. შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მასივე გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ბუქარესტის ტურნირი

კალათბურთელთა კოლექტივების ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს თბილისის „დინამოს“ გუნდი შეხვდა პოლონეთის სპორტსმენთა კოლექტივს. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 79:60.

შეხვედრები რუმინელ კალათბურთელებთან

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა რუმინეთისა და საქართველოს კალათბურთელთა გუნდების მორიგი საერთაშორისო შეხვედრები. ამჯერად ბუქარესტის „ლოკომოტივის“ კალათბურთელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდები.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდმა შეხვედრა მოიგო ანგარიშით 50:45, ვაჟთა გუნდმა — 63:38.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

კიშინიოვი. 1 ოქტომბერი. აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის 1957 წლის პირველობაზე. თამაშობდნენ სტალინის „შახტიორისა“ და კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ გუნდები. მატჩი მოიგო „შახტიორის“ გუნდმა ანგარიშით 2:0.

* * *

ლენინგრადი. 2 ოქტომბერი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე სპორტის მრავალი მოყვარული ესწრებოდა ადგილობრივი „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩს. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1.

* * *

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ჩემპიონატის ლიდერი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს. გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 2:0.

საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში

1 ოქტომბერს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში დაიწყო ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა უძლიერესი კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა.

დიდი ინტერესი გამოიწვია პირველობის გათამამების ლიდერის მოსკოვის „დინამოსა“ და კასპის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო) გუნდების შეხვედრამ. მძაფრი სპორტული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 4:4.

მატჩი ლენინგრადის „ვოდნიკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

„კომუნისტის“ პრესის კაბინეტი

3 ოქტომბერს

გასაუბრება ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრებთან თემაზე: „სოციალისტური შეჯიბრება და ძირეული პრესის ამოცანები“. დასაწყისი დღის 2 საათზე.

გ. ვ. ხაჭაპურიძე

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1920 წლიდან გიორგი ვასილის-ძე ხაჭაპურიძე.

გ. ვ. ხაჭაპურიძე დაიბადა 1892 წელს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანიეთში გლეხის ოჯახში. 1913 წელს მან დაამთავრა გიმნაზია, ხოლო 1918 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა გ. ვ. ხაჭაპურიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო. 1917-1920 წლებში იგი მუშაობდა რსფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატში. მშობლიურ საქართველოში იგი ბრუნდება 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, რომლებიც მოვიდნენ საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

1921 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გ. ვ. ხაჭაპურიძე დიდ ორგანიზატორულ, პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. 1921 წლიდან 1924 წლამდე იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარედ, 1925-1928 წლებში განაგებდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ პარტიულ სკოლას, 1929 წლიდან 1933 წლამდე იყო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პრორექტორი, 1934-1935 წლებში — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, 1936 წლიდან 1942 წლამდე — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში. გ. ვ. ხაჭაპურიძემ დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ დიდი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელ კომისიაში, რომელსაც იგი სათავეში ედგა შვიდი წლის მანძილზე — 1943 წლიდან 1950 წლამდე. 1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გ. ვ. ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების მუშაობას. 1924 წლიდან იგი ასწავლიდა უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო 1929 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის-სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრას.

გ. ვ. ხაჭაპურიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო საბჭოების წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საბჭოთა ისტორიკოსების ეროვნული კომიტეტის წევრი.

გ. ვ. ხაჭაპურიძე დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შორის. იგი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობისა და სოციალისტური მშენებლობის ისტორიის დიდი მცოდნე და ერთ-ერთი პირველი მკვლევარი.

გ. ვ. ხაჭაპურიძის კალამს ეკუთვნის ოთხმოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე. მისი შრომები „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ და „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ რამდენჯერმე გამოიცა.

1939 წლიდან გ. ვ. ხაჭაპურიძე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტია, ხოლო 1941 წლიდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გ. ვ. ხაჭაპურიძემ ბევრი ძალა მოახმარა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეს. მას ახასიათებდა დიდი გულისხმიერება ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისადმი.

გ. ვ. ხაჭაპურიძე არაერთხელ ყოფილა არჩეული პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ არჩევითს თანამდებობებზე.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჯეროვნად შეაფასეს გ. ვ. ხაჭაპურიძის თავდადებული შრომა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

კომუნისტის და მოწინავე მეცნიერის გ. ვ. ხაჭაპურიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. პეტრე ანდრიას-ძე **აბრასიმოვი** დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. პანტელეიმონ კონდრატეს-ძე **პონომარენკო** გაათავისუფლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

დღეს
თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — გურიის მთები დაუთოვია, — **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის ნიაღვარი (სეზონის ბახსნა), **გრიბოედოვის სახელობის** — ფილუმენა მარტურანო, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა (ექსპერიმენტი № 20, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — სუსტი ხასიათი (10 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (2 ს.), **ფილარმონია** — ყაზახეთის სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი (საზაფხულო თეატრი).

თბილისის სახელმწიფო ცირკი
ყოველდღე
დიდი საცირკო წარმოდგენა
მონაწილეობენ

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილენი მოსკოვში ჩრდილოეთ ოსეთის **ცხენოსან-მოჯირითენი** ჩოასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **ალი-ბეგ კანტემიროვის** ხელმძღვანელობით და დიდი მრავალფეროვანი საცირკო პროგრამა.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირაობით **დღის ორი საბავშვო წარმოდგენა, დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.** მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბილეთები იყიდება ცირკის სალაროებში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

განცხადებები და საჭირო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ძერჟინსკის ქ. № 8, III სართული).

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილების გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის

გიორგი ვასილის-ძე ხაჭაპურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. ბინაზე, ენგელსის ქ. № 23. გამოსვენება 5-X, 3 ს. მასწავლებლის სახლიდან, ფურცელაძის ქ. № 3.

მეუღლე კონსტანტინე შვილებით, დები ნადია, მარო, ძმა დავით, რძლები ჰელგია, ოლია, ვალენტინა, სიძეები პ. ლეკიძე, ი. ქათამაძე ოჯახებით იუწყებიან

ბაბილინა ფურცხვანიძე-გამზარდიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-X, 5 ს. ქ. ფოთში, გამოსვენება ბინიდან, ნინოშვილის ქ. № 26.

მეუღლე ნიკოლოზ, მშობლები ანა, დამიანე, დები მარო, ეთერ, სიძე მ. თოდრაძე, ე. წამალაშვილი ოჯახით იუწყებიან

თამარ დამიანეს ასულ ნაცვლიშვილი-გიგილაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-X, 8 ს. რუსთაველის პროსპ. № 50. დაკრძალვა 6-X, სოფ. მეტეხში (კასპის რ.).

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს კოლექტივი იუწყება ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილის

ნიკიტა ალექსანდრეს-ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას.

შშობლები თინა, ვასილ, და მანანა, ძმა თეიმურაზ იუწყებიან

ლალი მაღლაფერაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 3, ს. გამოსვენება 5-X, 4 ს. ბინიდან, ირაკლის მოედანი № 3.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის წევრები იუწყებიან ამავე კათედრის გამგის, პროფესორ

გიორგი ვასილის-ძე ხაჭაპურიძის

გარდაცვალებას.

თბილისის მე-2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან

ნინო იაგორის ასულ მანუკიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 3-X, 4½ ს. ბინიდან, ტყეიავის ქ. № 14.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ნიკიტა ალექსანდრეს-ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას.

მეუღლე თომა, შვილები გიორგი, ქეთევან, თამარ, ვახტანგ, ნათელა, რძლები ვერა, ციალა, სიძეები ქ. ჯაფარიძე, თ. აბდუშელიშვილი ოჯახებით იუწყებიან

ეკატერინე თადეოზის ასულ კერესელიძე-ქოჩლაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5-X, 8 ს. გამოსვენება 6-X, 3 ს. ბინიდან, გერცენის შესახვ. № 8.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს და ცენტრალური სახელმწიფო არქივების თანამშრომლები იუწყებიან საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს წევრის პროფესორ

გიორგი ვასილის-ძე ხაჭაპურიძის

გარდაცვალებას.

თბილისის სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

ზურაბ არჩილის-ძე გამყრელიძის

გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი იუწყება აკადემიკოს

გიორგი ვასილის-ძე ხაჭაპურიძის

გარდაცვალებას.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63 03, 3-82 05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67. სამდივნოსი — 3-06 88. **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3 81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16 90, სოფლის მეურნეობის — 3 20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80 84, ხაბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჩხელის — 3 57 61, პრესის მამობილვისა და პარტბიურისა — 3-72 80, იდგილობრივი ინფორმაციის — 3-32 46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, ხტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04042

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.